

ანთროპოგენური გავლენა, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში,
კეთილშობილი ირმის (*Cervus elaphus maral*) პოპულაციის დინამიკაზე
სივრცესა და დროში

მიხეილ ჯოგლიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და მედიცინის ფაკულტეტზე
ბუნებათსარგებლობაში მეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის
მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

ბუნების დაცვა და მეტყვეობა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ზურაბ ჯავახიშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

”როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

მიხეილი, ჯოგლიძე. მ. ჯოგლიძე 2021

სარჩევი

აბსტრაქტი	4
ლიტერატურის მიმოხილვა	5
<i>კვლევის მიზანი და ამოცანები</i>	<i>6</i>
<i>გავრცელება.....</i>	<i>6</i>
<i>ბორჯომ ხარაგაულის ეროვნული პარკი</i>	<i>7</i>
<i>ფიზიკური დახასიათება</i>	<i>11</i>
ირმის პოპულაციის განსაზღვრის მეთოდების აღწერა.....	13
კვლევის არეალი და მეთოდოლოგია.....	15
კვლევის შედეგები	21
კვლევის ანალიზი და დისკუსია.....	27
დასკვნა და რეკომენდაციები.....	30
მადლობა	31
გამოყენებული ლიტერატურა	33

აბსტრაქტი

საქართველოში კავკასიური კეთილშობილი ირმის ძირითადად ორი იზოლირებული პოპულაცია გვხვდება. საქართველოს წითელი ნუსხის მიხედვით ირემი კრიტიკულ საფრთხეში მყოფი სახეობაა. ლიტერატურისა და დაცული ტერიტორიების სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, კერძოდ კი ფოტომახებიდან აღებული ვიზუალური მასალის საშუალებით განისაზღვრა კეთილშობილი ირმის პოპულაციის პარამეტრები. მოპოვებული მასალის ანალიზის შედეგად შეფასდა სახეობაზე მოქმედი სხვადასხვა ანთროპოგენური ფაქტორი ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში. შემუშავდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს კეთილშობილი ირმის პოპულაციაზე მოქმედი ანთროპოგენური ფაქტორების უკეთ შესწავლას და სახეობისთვის უკეთესი მენეჯმენტის დანერგვას.

საძიებო სიტყვები: კავკასიური კეთილშობილი ირემი (*Cervus elaphus maral*), ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი, ანთროპოგენური გავლენა, მყვირალობა, მეთოდი.